UDC 061.75
SCOPUS CODE 1206
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-29-35

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ძეგლების ტოპოგრაფია

შორენა ყიფშიძე არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: shorenayipshidze@gmail.com

რეცენზენტები:

ი. ჯაგოდნიშვილი, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
E-mail: i.jagodnishvili@gtu.ge

მ. ძნელაძე, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: dzneladzemerabi@gmail.com

ანოტაცია. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე 70-ზე მეტი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლია მიკვლეული. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია შულავერ-შომუთეფეს კულტურის სახელით ცნობილი ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელიც უფრო განვითარებულია და შედარებით უკეთესად შემონახული, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ნასახლარები.

დასავლეთ საქართველოს ძეგლების ტოპოგრაფია გარკვეული თავისებურებებით რადიკალურად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური დასახლების ტიპებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია შულავერის ნამოსახლარი, რომელიც ცნობილია შულავერის კულტურის სახელით. ძეგლის შესწავლისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს ალიზის აგურებით აგებული საცხოვრებლები, რომელთა დაგეგმარება მრგვალი ან კონუსურია. დასახლების ტიპები და საცხოვრებელი გარემო ადასტურებს მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ხანგრძლივი ცხოვრების კვალს. აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ გვიანნეოლითური ხანის ძეგლები დასტურდება.

დასავლეთ საქართველოში, თბილი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ნეოლითელ ადამიანს ფაცხისებრ სახლებში უნდა ეცხოვრა. ამან განაპირობა სწორედ ის, რომ დასავლეთში თვალნათლივ არ ჩანს ნაგებობების კვალი. ნაშთების სახით მხოლოდ ბოძებისა და სამეურნეო დანიშნულებისთვის გამიზნული ორმოებია აღმოჩენილი. ამიტომ ფაცხი-

სებრი სახლების წყობიდან გამოსვლისა და ახლების აგების შემდეგ ნიადაგში ჩარჩენილი ნაშთები მხოლოდ უმნიშვნელოდ უწყობს ხელს კულტურული ფენების ზრდას.

ტოპოგრაფიული განლაგების მიხედვით, მეცნიერული დაკვირვების შედეგად, თითქოს შეინიშნება ნეოლითური ნამოსახლარების თანამიმდევრული ჩამონაცვლება მთიდან ბარისაკენ, ეპოქების საფეხურების მიხედვით, რაც მიგვანიშნებს საზოგადოების სვლას ევოლუციურად აღმავალი გზისკენ.

საკვანძო სიტყვები: დასახლების ტიპები; ნეოლითის ხანა; ნეოლითური ნამოსახლარები; შულავერ-შომუთეფეს კულტურა; ძეგლების ტოპოგრაფია.

შესავალი

დასახლების ტიპს, მის ტოპოგრაფიას, როგორც წესი, ფაქტორების კომპლექსი განაპირობებს. ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული ტრადიციის თავისებურებები, საზოგადოების სამეურნეო და სოციალური განვითარების დონე, გარემოცვა, რომელშიც მოცემულ საზოგადოებას უხდება ცხოვრება სწორედ ის ძირითადი კომპონენტებია, რომლებიც განსაზღვრავს როგორც დასახლების ფორმებს, მათ ტიპს, ისე მშენებლობაში გამოყენებული მასალების სახეობასა და სამშენებლო ხერხებს.

ტოპოგრაფიის მხრივ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებს ბევრი განმასხვავებელი ნიშანი აქვს. შულავერ-შომუთეფეს კულტურის ნამოსახლარები ხელოვნურ ბორცვებზეა წარმოდგენილი და შედარებით განვითარებულია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლარები.

დასავლეთ საქართველოში ძალიან თხელი ფენებია წარმოდგენილი, თუმცა, რაც მთავარია და მნიშვნელოვანი, ყველა პერიოდის ძეგლები დასავლეთსა და აღმოსავლეთში დადასტურებულია.

დღეისათვის ნეოლითური კულტურის განვითარების თავისებურების კვლევა ისევ დისკუსიის საგანია და ახალი მასალების ძიებას საჭიროებს. ახალი არტეფაქტების აღმოჩენამ და შესწავლამ შეიძლება ნეოლითის ეპოქა კიდევ უფრო დააძველოს და ახალი კითხვები წარმოშვას.

ძირითადი ნაწილი

როგორც ცნობილია, ნეოლითის ხანაში ხდება მითვისებითი მეურნეობის ჩანაცვლება წარმოებითი მეურნეობით. ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოების წინსვლის საფუძველს ქმნის, იცვლება ცხოვრების წესი, ადამიანი მყარად მკვიდრდება მიწაზე, ჩნდება სოფლის ტიპის დასახლებები ხელოვნური საცხოვრებლებით, იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი ერთეულები, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიებს იკავებს (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე, 1979, გვ. 7-15), (ს. გოგიტიძე, 1978, გვ. 48-66, ს. გოგიტიძე, 1983, გვ. 3-39).

როგორც ვიცით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დასახლების ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებს. ბოლო დროის მონაცემებით, 70-ზე მეტი ადრესამიწათმოქმედო ძეგლია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, რომელთა უმრავლესობას აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით. მსგავსი ტიპის მცირე ჯგუ-

ფის ძეგლები სომხეთის ტერიტორიაზეც არის გამოვლენილი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლთაგან მნიშვნელოვანია შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლები, რომელშიც შედის შულავერის, იმირის, დანგრეული და ხრამის დიდი გორები, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი შომუთეფე, ბაბადერვიში და სხვა.

როგორც ვიცით, შულავერ-შომუთეფეს კულტურა ამჟამად, შეუსწორებელი და რადიოკარბონული განსაზღვრებით, ძველი წელთაღრიცხვის VI-V ათასწლეულებითაა დათარიღებული, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესწორებული, კალიბრირებული მონაცემების საფუძველზე, ზემოხსენებული ძეგლები ათასი წლით კიდევ ძველდება. მიწის დამუშავების პროცესში შულავერის გორის ნამოსახლარი დაზიანდა. მასზე არქეოლოგებმა გამოავლინეს ცხრა კულტურული და ოცდათორმეტი ნაგებობის ნაშთი.

აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ შულავერის გორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალები შედარებით ადრეულია. ძეგლზე აღმოჩენილი ნაგებობები კონსტრუქციით, დაგეგმარების თავისებურებით, მშენებლობის ხერხებისა და მასალების გამოყენების გათვალისწინებით ადასტურებს, რომ ძეგლზე საზოგადოების ევოლუციური განვითარება არ დასტურდება. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია და შესწავლილი ალიზის აგურებით აგებული საცხოვრებლები და დამხმარე ნაგებობები, რომლებსაც დანიშნულებისამებრ იყენებდნენ. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას შულავერის კულტურის შესახებ, აუცილებელია განვიხილოთ იმირის გორა, რომელიც იმავე რაიონშია და მკვლევრებს შულავერზე გვიანდელად მიაჩნიათ. იმირისა და შულავერის გორები დაახლოებით ერთი და იგივე ზომისაა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გორაზე შვიდი სამშენებლო ჰორიზონტი დადასტურდა. იქ გათხრილი საცხოვრებლებიდან საყურადღებოა ოვალური ფორმის ნაგებობების ნაშთი, რომელზეც, როგორც ჩანს, მიშენებული იყო პატარა სათავსი. ასეთივე ტიპის ნაშთია აღმოჩენილი იმირის გორაზეც. ასეთივე კულტურის მახასიათებლებით არის წარმოდგენილი დანგრეული და გადაჭრილი გორებიც. ეს ორივე ძეგლი შულავერის ჯგუფის ძეგლებს მიეკუთნება, თუმცა გადაჭრილ გორაზე არქეოლოგური გათხრები ჯერჯერობით არ ჩატარებულა. ძეგლს შუაზე ჰყოფს შულავერის ღელე. მის შუა ნაწილში შემორჩენილ ალიზის შენობაზე არსებული გუმბათი თითქმის სრულყოფილადაა შემორჩენილი და დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის იქნება (ალ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე, 1975).

დღეს პასუხგაუცემელია კითხვა, რატომ შეწყდა შულავერის გორაზე ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელ ბორცვზე არ დასტურდება ბუნებრივი კატასტროფის, მტრის შემოსევის ან რაიმე ნიშნის კვალი, ძნელი ასახსნელია რას შეიძლება გამოეწვია მოსახლეობის მიერ სოფლის მიტოვება (ო. ლორთქიფანიძე, 1992, გვ. 30).

შულავერის ძეგლს ახასიათებს ერთოთახიანი მრგვალი საცხოვრებლები და სათავსები, რომლებიც ალიზის აგურებისაგან დამზადებული ტიხრებით შუაზეა გაყოფილი.

დღეისათვის შულავერ-შომუთეფეს კულტურის წარმომავლობის საკითხი დაუდგენელია. ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია რეგიონში ამ კულტურის წინარე და ადრეული ნეოლითური ძეგლები,

ასევე უცნობია შულავერისა და სიონის ჯგუფის ძეგლების კულტურების ურთიერთობის საკითხები და ქრონოლოგია. ისიც საინტერესოა საიდან და როგორ გაჩნდა შულავერ - შომუთეფეს კულტურის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე, შემოტანილია თუ ჩამოყალიბებული ადგილობრივად? ამაზე ჯერჯერობით პასუხები არ გვაქვს (ვ.სადრაძე, ა. ნონეშვილი, 2022, გვ. 201-203).

რაც შეეხება სიონს, იგი გეოგრაფიული მდებარეობით შულავერის კულტურის ზონაშია, უფრო მეტიც - იგი უშუალოდ ემიჯნება საკუთრივ შულავერის ჯგუფის ძეგლებს.

შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებისაგან მას განასხვავებს დასახლების ტიპი, რომელიც ველზე მდებარე თეფე-გორებითაა წარმოდგენილი, სადაც ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრების კვალია დადასტურებული, სიონის ნამოსახლარი კი ტერასაზე თუ მთის გავაკებულ ფერდობზე მდებარეობს და მის მიერ წარმოდგენილი ფენა რელიეფისაგან არ გამოიყოფა. განსხვავებულია საცხოვრებელი ნაგებობების ტიპებიც. შულავერის კულტურის ძეგლებზე წრიული ფორმისაა ალიზისგან დამზადებული გუმბათი. სიონის ნასახლარისთვის დამახასიათებელია მცირე ზომის შენობები, ამავე დროს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ დიდი ზომის ნახევრმიწურებს საძირკვლები ძირითადად მასიური ქვის აქვს (მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, 1981, გვ. 27).

ყურადღება გავამახვილოთ რა თავისებურებები აქვს დასავლეთ საქართველოს ძეგლების ტოპოგრაფიას, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება აღმოსავლეთ საქარველოს ნეოლითური დასახლების ტიპებისაგან.

დასავლეთ საქართველოში ნაგებობების ნაშთი თვალნათლივ არც ერთ ნეოლითურ ნამოსახლარზე არ შემოინახა. ჯერჯერობით მხოლოდ ჩხოროლის, ხორშის, პალურის, ქობულეთის, დარკვეთის ეხის და გუანდრას ნამოსახლარებზე იკითხება ნაგებობების არსებობის ნიშნები. ესენია: ნაგებობის ადგილზე დარჩენილი შავი ლაქები, ბოძებისათვის გამიზნული ორმოები, იატაკი და იქვე გამართული კერები, სამეურნეო დანიშნულების დიდი ორმოები და სხვა.

დასავლეთ საქართველოს მწარმოებელ ტომებს იმდროინდელი თბილი კლიმატური პირობები საშუალებას აძლევდა ფაცხისებრ სახლებში ეცხოვრათ. როგორც ი. კიკვიძე შენიშნავს, იმდროინდელი კლიმატი არ ითხოვდა უფრო რთულ კონსტრუქციას. წნული, ფაცხისებრი საცხოვრებლები, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება შელესილი ყოფილიყო, მეტწილად კი შეულესავი, რადგან სარლასტის ანაბეჭდები ნასახლარებზე ყველგან არ დასტურდება.

ფაცხისებრი სახლების წყობიდან გამოსვლისა და ახლების აგების შემდეგ ნიადაგში ჩარჩენილი ნაშთები მხოლოდ უმნიშვნელოდ უწყობს ხელს კულტურული ფენების ზრდას. ამიტომ, ფენების საშუალო სიმძლავრე ჩხორთოლსა და მსგავს ნამოსახლარებზე საშუალოდ 70–80 სმ-ს არ აღემატება.

გალის ნეოლითური ნამოსახლარების დაწვრილებითმა შესწავლამ და ურთიერთშეჯერებამ დაგვანახა, რომ, მიუხედავად მათი კულტურული ერთიანობისა და ტერიტორიული სიახლოვისა, ღუმურიშზე, ჩხორთოლსა და პირველი გალის ნამოსახლარებზე თანადროული ცხოვრება არ უნდა არსებულიყო. უკეთეს შემთხვევაში, ცხოვრება უნდა დაწყებულიყო ღუმურიშის ნამოსახლარზე, ხოლო აქედან განსახლება უნდა მომხდარიყო ტოპოგრა-

ფიულად უფრო დაბალი მდებარეობის მქონე ჩხორთოლის ზეგანსა და პირველი გალის ტერასაზე.

ნეოლითური ნამოსახლარების მაღლიდან დაბლა ჩამონაცვლების სურათი დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც გამოიკვეთა და საბოლოოდ ასეთი შედეგი მივიღეთ: აფხაზეთში, იქ, სადაც მთა და ბარი ერთმანეთთან ყველაზე ახლოა, ნეოლითური ძეგლები მთიან და მთისწინა ზოლში მდებარეობს, ესენია: ადრენეოლითური სადგომი ლემსა, აპიანჩა, ცივი მღვიმე, წებელდა და მოქვი. გვიანნეოლითური ნამოსახლარები – კელასური და კისტრიკი უფრო დაბლა, ზღვის პირას მდებარეობს.

იმერეთშიც ასეთივე თანამიმდევრობითაა განლაგებული ადრე და გვიანნეოლითური ნამოსახლარები: მდინარე რიონისა და მისი შენაკადების სათავეებთან მდებარეობს ადრენეოლითური ხანის ძეგლები: ბუღნარი, ნაკურალეში, ტვიში, დარკვეთი. შემდეგ მოდის ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი მელოური, კიდევ უფრო დაბლა გვიანნეოლითური ხანის ძეგლები – საგვარჯილე და თეთრამიწა.

როგორც ვხედავთ, ნეოლითური ნამოსახლარების ტოპოგრაფიული განლაგების მიხედვით, თითქოსდა შეინიშნება ნეოლითელი საზოგადოების თანამიმდევრული ჩამონაცვლება მთიდან ბარისკენ, ეპოქის საფეხურების მიხედვით. თუ თვალს გავადევნებთ მთიდან ბარისაკენ მოძრავ ნეოლითური კულტურის განვითარებას, შევნიშნავთ ევოლუციურად აღმავალ გზას მთის პრიმიტიული მესაქონლე-მეურნე ტომებიდან ბარის მძლავრი მიწათმოქმედი საზოგადოებისაკენ, რასაც მოჰყვა სამუშაო იარაღების გაუმჯობესება და დამუშავების ტექნიკის სრულყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ დასავლეთ საქართველოში ნეოლითური ხანის ნაგებობები უნდა ყოფილიყო მრგვალი და ოთხკუთხა დაგეგმარების მარტივი ქოხები, მასზე მიღობილი სათავსებით და საბოსტნეებით. საცხოვრებელში გამართული უნდა ყოფილიყო მარტივი კერები, საკულტო თაროები, თიხატკეპნილ იატაკში აქ-იქ მიმართული სამეურნეო დანიშნულების ორმოები (კ. კალანდაძე,1986, გვ. 60-65).

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რა არის ის განმასხვავებელი ნიშნები, რაც ერთმანეთისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილ ადრენეოლითურ ნამოსახლარებს განასხვავებს? ნიშნები ბევრია, თუმცა ამ ეტაპზე დასახლების თავისებურებებს შევეხეთ და აღვნიშეთ, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურის ნამოსახლარები დასავლეთ საქართველოში არსებული ნამოსახლარებისაგან იმით განსხვავდება, რომ ისინი უფრო განვითარებულია, რადგან დასახლებები ხელოვნურ ბორცვებზეა, დასავლეთ საქართველოში კი ძალიან თხელი ფენებია წარმოდგენილი. თუმცა, რაც მთავარია და მნიშვნელოვანი, ყველა პერიოდის ძეგლები დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც დასტურდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სწორედ ამ დროს ჩნდება ნამოსახლარებზე დაკრძალვის წესიც.

დასკვნა

ამდენად, დღესაც კი დისკუსიის საგანია ნეოლითური კულტურის განვითარების თავისებურებების კვლევა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის ერთი და იგივე კულტურებია გავრცელებული. აღმოსავლეთ საქა-

რთველოში მხოლოდ გვიანნეოლითური ხანის ძეგლები დასტურდება, დასავლეთ საქართველოში კი კარგადაა წარმოდგენილი თანამიმდევრული განვითარების ეტაპები: მეზოლითური, ადრენეოლითური, შუანეოლითური და გვიანნეოლითური ძეგლები.

ლიტერატურა

1. Berdzenishvili, N., Nebieridze, L. (1979). *Stone age settlements in Kintrishi Ravine. (Vol. VIII).* (In Georgian);
2. Gogitidze, S. (1978). *Neolithic culture of South-East Black Sea coast.* (In Georgian);
3. Gogitidze, S. (1983). *The results of field research on Kobuleti Stone Age settlement, carried out in 1980 (Vol. XII).* (In Georgian);
4. Javakhishvili, A.L., Japaridze, O. (1975). *The results of archeological expedition in Kvemo Kartli. (1965-1971).* (In Georgian);
5. Kalandadze, K. (1986). *The neolithic culture of Western Georgia within new discoveries.* (In Georgian);
6. Lortqipanidze, O. (1992). *Georgian Archeology (Vol. II.).* (In Georgian);
7. Menabde, M., Kighuradze, T. (1981). *Sioni Archeological monuments.* (In Georgian);
8. Sadradze, V., Noneshvili, A. (2022). *Archeological Sciense.* (In Georgian).

UDC 061.75
SCOPUS CODE 1206
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-29-35

The Topography of Eastern and Western Georgian Monuments

Shorena Kipshidze Department of Archaeology and Georgian History, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: shorenayipshidze@gmail.com

Reviewers:

I. Djagodnishvili, Professor, Dean, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Science, GTU
E-mail: i.jagodnishvili@gtu.ge

M. Dzneladze, Associate Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Science, GTU
E-mail: dzneladzemerabi@gmail.com

Abstract. Today more than 70 Pre-farming cultural monuments are discovered on the territory of Transcaucasisa.

On the territory of Eastern Georgia, The Pre-farming culture, known as The Shulaveri-Shomutepe culture is familiar, which is more developed and relatively better preserved than The Neolithic settlements of Western Georgia.

The topography of Western Georgia with a range of peculiarities is radically different from the types of the Eastern Georgian Neolithic settlements.

The Shulaveri-Shomutepe settlement, which is known as the Shulaveri culture, is discovered in Eastern Georgia. During the study of the monument the scientists discovered the homes built with muud-bricks. Their design is round or cone-shaped. The settlement types and dwelling environment proves the sign of long life of numerous populations. In Eastern Georgia only the Late Neolithic monuments are found.

Because of the warm climate of Western Georgia, the Neolithic human must have lived in a wicker peasant typed house. This conditioned sign of structures is not evident in the West. Only the pits for posts and economical purposes are discovered. So, the remains found in the earth which were used for rebuilding the weaker peasant typed houses that were out of order, only helps the increase of cultural layers insignificantly.

According to the topographical layout and scientific observation, consequential migration of the Neolithic settlements from the mountain to the plain is evident according to the epoch. This is the sign of the fast evolution of society.

In terms of topography, Western Georgian Neolithic monuments greatly differ. Shulaveri-Shomutepe cultural settlements are presented on the man-made hills and are relatively more developed than the Eastern Georgian settlements.

Only very thin layers are presented in Western Georgia. The main thing is that the monuments of all periods are confirmed in the West as well as in the East, which is very important.

Today the peculiarities of Neolithic culture remain the subject of discussion and need the search of new resources. The discovery and study of new artifacts may cause the becoming out-of-date of the Neolithic Era and arising of new questions.

Keywords: Neolitchic era; Neolitchic settlements; Shulaveri-Shomutepe culture; the types of settlements; the topography of monuments.

განხილვის თარიღი 29.04.2024
შემოსვლის თარიღი 30.04.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024